

დამტკიცებულია სკოლის დირექტორის
2021 წლის 10 სექტემბრის N94 ბრძანებით



ახალი კორონავირუსის (COVID –19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასკოლო რეგულაციები

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სკოლაში დამსაქმებლების, დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, სკოლაში ვირუსული ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ზოგადი რეკომენდაციებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ახალი კორონავირუსით (SARS, SARS-CoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად.

რეგულაციების მიზანია უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებების (ინსტრუქციების, სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის) დაცვა.

დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, სკოლაში შეფასდა რისკები და შემუშავებულ იქნა ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა) და ზოგადი რეკომენდაციები, რომლის დაცვა სავალდებულოა სკოლაში შემომსვლელი ნებისმიერი პირისათვის.

რეგულაციის დაცვა სავალდებულოა სკოლის შენობაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის!

- სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ თანამშრომლები და მოსწავლეები;
- მშობლის და ნებისმიერი სხვა გარეშე პირის შემოსვლა სკოლაში აკრძალულია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც დაიშვება მხოლოდ დირექტორის

ნებართვის საფუძველზე და ასეთი შემთხვევების დაფიქსირება და აღრიცხვა მოხდება ვიზიტორთა ჟურნალში;

- მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა სკოლაში შემოსვლისთანავე, უნდა გაიარონ დეზობარიერი და თერმოსკრინინგი, ჩაიტარონ ხელის ჰიგიენა; თერმოსკრინინგის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაცვის თანამშრომელს და სკოლის ექიმს, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა არცერთი პირი აღნიშნული პროცედურის გავლის გარეშე არ დაიშვას შენობაში;
- თუ თერმოსკრინინგისას და/ან სასწავლო პროცესის მსვლელობისას პირს დაუფიქსირდა ცხელების – 37°C ან 37°C –ზე მეტი ტემპერატურა, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, საიზოლაციო სივრცეში; სიცხის გადამოწმების შემდეგ, 37.0C ან 37°C –ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
 - ნებისმიერი ზრდასრული პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
 - მოსწავლის ტემპერატურის დაფიქსირებისას, ექიმი მოარგებს ნიღაბს და განათავსებს საიზოლაციო ოთახში.
 - ექიმი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლის მენეჯმენტი ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
 - საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) აქვს პირბადე, დაცულია 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.
 - დაფიქსირებული ცხელების შემთხვევების აღრიცხვა ხდება შესაბამის ჟურნალში.
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება სკოლის შენობაში;

- სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი/ საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი/ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გაცდენის მიზეზი (გაცდენის მიზეზი ფიქსირდება სპეციალურ, გაცდენების აღრიცხვის ჟურნალში); მოსწავლე, თანამშრომელი, პედაგოგი გაცდენილი დღის შემდგომ სკოლაში დაშვების მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს:
 - სასწრაფო დახმარების ბრიგადის ბინაზე გამოძახების ბარათი;
 - ოჯახის ექიმის მიერ გაცემული ცნობა;
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა 100;
 - პჯრ და ან ანტიგენ (სწრაფი) ტესტის უარყოფითი პასუხი;
 - ახსნა განმარტებითი ბარათი;
 - განცხადება და სხვა;
- ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება პჯრ ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19-ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად;
- პირბადის გარეშე არცერთი თანამშრომელი და არცერთი მოსწავლე, არ დაიშვება სკოლის ტერიტორიაზე;
- სკოლაში სწავლა იწყება 9:00 საათზე, შესაბამისად სკოლაში შემოსვლა იწყება 8:30–დან შესაბამისი პროცედურების გავლით. სკოლაში მოსწავლეთა გამოცხადება უნდა მოხდეს 8:55 საათის ჩათვლით, რათა თავიდან იქნას აცილებული გაკვეთილზე დაგვიანება;
- მოსწავლეთა მოძრაობა დერეფნებში და სხვადასხვა საკლასო ოთახებში მკაცრად კონტროლირებადია და ყოველ სართულზე მოსწავლეთა შესვენებებზე და ეზოში გამოსვლა რეგულირდება კლასების მიხედვით, რათა თავიდან იქნას აცილებული

დასვენებებზე დიდი რაოდენობით მოსწავლეთა თავმოყრა და სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მჭიდრო კონტაქტი. დასვენებებზე კლასების მიერ დერეფნითა და ეზოთი სარგებლობის განრიგი გამოკრულია სართულებზე და ასევე, თითოეულ საკლასო ოთახში;

- ყოველ შესვენებაზე დამრიგებელი და კლასის მორიგე ვალდებულია უზრუნველყოს საკლასო ოთახის განიავება;
- სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია შესაბამისი დისტანციის დაცვით;
- სკოლის ბუფეტით სარგებლობის შესაძლებლობა, ვინაიდან დროებით შეჩერებულია, მოსწავლეთათვის სკოლის ბუფეტი იმუშავებს ადგილზე მიტანის ე.წ. „დელივერი“ სერვისით, კერძოდ, კვების შესვენების ორგანიზება მოხდება საკლასო ოთახებში. ყოველი დღის დასაწყისში, საკლასო ოთახებში განთავსდება მენიუ, სადაც მოსწავლეები მონიშნავენ მათთვის სასურველ საკვებს, მიუთითებენ რაოდენობებს და დროს (ნებისმიერი შესვენების პერიოდს). მენიუს, პირველი დასვენების დასრულებისთანავე, შეაგროვებს სასადილოს მომსახურე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკვების საკლასო ოთახებში მიწოდებას მითითებული დროისათვის;
- ვინაიდან სკოლის ბუფეტით სარგებლობა, დროებით შეჩერებულია, რეკომენდებულია მოსწავლემ თან იქონიოს საკვები ლანჩ ბოქსებით;
- მოსწავლეებს საშუალება აქვთ სახლიდან წამოდებული საკვები მიირთვან შესვენების პერიოდში საკლასო სივრცეში;
- I – III კლასის მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილი ორჯერადი კვება სკოლის სასადილოში შესაბამის დროს, რომელიც გამოკრულია ყველა საკლასო ოთახში. კვების დროს ერთ მაგიდასთან მკაცრად კონტროლდება მხოლოდ 6 მოსწავლის განთავსება, შესაბამისი დისტანციის დაცვით; სასადილოში დაიშვებიან მხოლოდ აღნიშნული კლასის მოსწავლეები;
- IV – V კლასის გაზანგძლივებული სერვისით მომსახურებისას მოსწავლეების სარგებლობენ ერთჯერადი კვებით, რაც ასევე, ხორციელდება მითითებული განრიგის მიხედვით, რაც გამოკრულია სასადილოსა და შესაბამის საკლასო ოთახებში;

- თუ კლასის მშობელთა 60% მაინც გამოთქვავს სურვილს დისტანციური სწავლების თაობაზე, კლასი გადავა დისტანციურ სწავლებაზე 2 კვირის ვადით;
- თუ კლასის მშობელთა 60%-ზე ნაკლები გამოთქვავს სურვილს, რომ მისმა შვილმა სწავლა განაგრძოს დისტანციურ რეჟიმში და/ან მოსწავლე არის რისკ ჯგუფში და/ან იმყოფება იზოლაციაში და ვერ ესწრება საგაკვეთილო პროცესს გარკვეული პერიოდით, მოსწავლის დისტანციური სწავლების რეჟიმში გადასვლას განიხილავს სკოლა და შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს ონლაინრეჟიმში მომსახურება:
 - მოსწავლის რეგისტრაციისთვის, მშობელი ვალდებულია, დირექტორის სახელზე, ყოველი კვირის ხუთშაბათამდე, სკოლის მეილზე info@italianschool.ge გააგზავნოს ოფიციალური განცხადება.
 - დასაბუთებულად ახსნას მოსწავლის დისტანციურ რეჟიმში გადასვლის აუცილებლობა და მიუთითოს პერიოდი/ვადები;
 - ორი დღის ვადაში, მენეჯმენტის მიერ მოხდება შემოსული განცხადებების შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კვირის ბოლომდე, წერილობითი ფორმით გადაეგზავნება მოსწავლის მშობელს;
 - დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დირექტორის ბრძანების საფუძველზე მოხდება შესაბამისი პროცესების ორგანიზება;
 - საგნის პედაგოგი, ინფორმაციის მიღების შემდეგ გადადის სწავლების ჰიბრიდულ მოდელზე, კერძოდ, საკლასო ოთახში გაკვეთილის მსვლელობისას რთავს კამერას და ზუმის მეშვეობით იწვევს აღნიშნულ მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესზე დასასწრებად;
 - მოსწავლის დასწრება აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში;
 - გაკვეთილზე დისტანციურად ჩართული მოსწავლე არის პასიური მსმენელი;
 - გაკვეთილის დასრულების შემდგომ, პედაგოგი ელექტრონულ ჟურნალში ტვირთავს საშინაო დავალებას და შესაბამისი საგაკვეთილო პროცესის ელექტრონულ რესურსებს;
 - დისტანციურად ჩართული მოსწავლე საშინაო დავალებებს აგზავნის ელექტრონული ჟურნალის და/ან ზუმის მეშვეობით;

- საშინაო დავალების კომენტარს პედაგოგი აკეთებს ელექტრონული ჟურნალში;
 - აღნიშნული მოსწავლესთან ინდივიდუალური შეხვედრისთვის გამოყენებულ იქნება საკონსულტაციო საათი (ონლაინ);
 - დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მოსწავლე დისტანციური სწავლის რეჟიმიდან გადადის პირისპირ სწავლების რეჟიმზე.
- თუ პედაგოგი ვირუსული ინფექციით და/ან კორონავირუსით დაინფიცირებულია (შრომისუნარიანია) ან იმყოფება იზოლაციაში და ვერ ატარებს გაკვეთილებს საკლასო სივრცეში, გაკვეთილებს ატარებს დისტანციურად, სკოლის მენეჯმენტთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მოსწავლე ვალდებულებულია:

- დაიცვას ჰიგიენის წესები;
- დაიცვას სასკოლო რეგულაციები და სკოლის შინაგანაწესი;
- დაიცვას ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
- სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილებისას ეკეთოს პირბადე
- სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს თმის შეკვრა მჭიდროდ/დამაგრება, თმების სახის ზედაპირებთან შეხების შეზღუდვის მიზნით;
- არ გამოიყენოს სხვისი ნივთები;
- გამოიყენოს საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლი;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, აცნობოს ექიმს.

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

- არ გამოუშვას მოსწავლე სკოლაში ცხელების და/ან რესპირატორული დაავადების და ასევე, სიმპტომების შემთხვევაში;
- სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში აცნობოს კლასის დამრიგებელს გამოუცხადებლობის მიზეზი და ასევე, სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, აცნობოს დამრიგებელს;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანოს მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყოს ბავშვის მიმართვა

ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;

- სკოლის მენეჯმენტთან, კლასის დამრიგებელთან და პედაგოგთან კომუნიკაციისთვის გამოიყენოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

პედაგოგი ვალდებულია:

- სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილებისას ეკეთოს პირბადე;
- გაკვეთილის მსვლელობისას ეკეთოს პირბადე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მასსა და მოსწავლეს შორის დისტანცია აღემატება 2 მეტრს;
- გაკვეთილის ჩასატარებლად ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში შესვლამდე ჩაიტაროს ხელის ჰიგიენა;
- სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აცნობოს კათედრის თავმჯდომარეს და დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში გაცდენის მიზეზი;
- საგაკვეთილო პროცესის ღია სივრცეში ორგანიზების შემთხვევაში, წინასწარ, მინიმუმ 1 დღით ადრე, მიაწოდოს ინფორმაცია დირექციას გაკვეთილის ჩატარების შესახებ;
- სასწავლო ნივთები და რესურსები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება რთულია და ვერ ხერხდება, ამოიღოს ხმარებიდან;
- მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, მშობელთა კრებები და შეხვედრები ჩაატაროს დისტანციურად.

მადლობას გიხდით, აღნიშნული რეგულაციების გათვალისწინებისა და დაცვისათვის, ჩვენი და ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა თითოეული ჩვენგანის ქცევაზე დამოკიდებული!

მუდამ გახსოვდეთ ოქროს 5 წესი:

- 1. პირბადის გამოყენება**
- 2. ხელის ჰიგიენა**
- 3. ჰიგიენის წესების დაცვა სველ წერტილებსა და საკლასო ოთახებში**
- 4. ოთახების განიავება**
- 5. სოციალური დისტანცირება**

გისურვებთ ჯანმრთელობას!

